

საქართველოს კანონი

"სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ"

მუხლი 1. "სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შეხებ" საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, #56, 28.12.2005, მუხ. 433) 39-ე მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-2 პუნქტის "ა" და "ბ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ა) უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ თანამდებობებზე გადაყვანასთან ან/და რეორგანიზაცია-ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირების - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლებზე და იმ დამხმარე პერსონალზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საგანმანათლებლო ან სამეცნიერო საქმიანობაში.

ბ) სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებასთან ან სახელმწიფო/საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაცია-ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გამოთავისუფლებულ სამეცნიერო თანამდებობებზე დასაქმებულ პირებზე, აგრეთვე იმ პერსონალზე, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სამეცნიერო საქმიანობაში."

2. მე-2 პუნქტს დაემატოს "ბ" ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო/სამეცნიერო-პედაგოგიური და დამხმარე პერსონალის თანამდებობებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნორმატიული აქტით."

3. მე-3 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ბ) უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ თანამდებობებზე გადაყვანასთან, სახელმწიფო სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებასთან ან სახელმწიფო/საჯარო სამართლის იურიდიული პირის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების/სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაცია-ლიკვიდაციასთან დაკავშირებით."

4. მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"4. ამ მუხლის მოქმედება ვრცელდება 2005 წლის 1 ივნისიდან 2007 წლის 31 დეკემბრამდე ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძველით გათავისუფლებულ პირებზე."

5. მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"6. ამ მუხლით გათვალისწინებული წესით სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია გაიცემა ამ კანონის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირების შესაბამისი

სამეცნიერო, აკადემიური (სამეცნიერო-პედაგოგიური) ან დამხმარე თანამდებობიდან გათავისუფლებიდან 5 კალენდარული წლის განმავლობაში, მაგრამ არა უგვიანეს 2011 წლის 31 დეკემბრისა.”.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის პირველი იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი